საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№26/2

2025 წელი, 24 თებერვალი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 102-ე მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, განიხილოს საქართველოს პარლამენტის წევრების: არჩილ გორდულაძის, თორნიკე ჭეიშვილის, თენგიზ შარმანაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, სოზარ სუბარის, ვიქტორ ჯაფარიძის, ალუდა ღუდუშაურის, დავით მათიკაშვილის, ალექსანდრე ტაბატაძის, ნოდარ ტურძელაძის, რატი იონათამიშვილის, ირმა ზავრადაშვილის, სალომე ჯინჯოლავას, თორნიკე ბერეკაშვილის, გენრიეტა წიწავას, რამინა ბერაძის, ლევან მაჭავარიანის, ირაკლი კირცხალიას და მამუკა მდინარაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტები (№07-3/28; 19.02.2025) და გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი